

## მოგესალმებით და მადლობას გიხდით მობრძანებისთვის!

ჩემგან ნათქვამი პირველი სიტყვა, აუცილებლად იქნება იმ საზოგადო მადლიერების, რომელიც თქვენი ღირსების არჩევანმა განაპირობა 2012 წელს! თუ დღეს ჩვენ ვისაუბრებთ წარმატებას ან პრობლემაზე, გასაკეთებელსა თუ უკვე გაკეთებულზე, – მხოლოდ თქვენი სურვილის, თანამოაზრობის და საერთო ძალისხმევის იმედით! რადგან ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ცხოვრების ფორმამ უკვე შეცვალა ბევრი სიტყვის შინაარსი და მათ შორის „გუნდის“, რომელშიც არა მარტო პარტიები და კოალიციები იგულისხმება, არამედ ვიგულისხმებით ჩვენ ყველანი ერთად; ხელისუფლება და მოქალაქე, პოლიტიკოსი, სტუდენტი და ექიმი, ხელოვანი, გლეხი, პედაგოგი და სპორტსმენი, ყველა, ვისაც უკეთესი საქართველო უნდა!!! ჩვენ ვართ გუნდი, რომელმაც ახალი წესებით, ახალი ქვეყანა უნდა აშენოს და ამ ყველაფრის ღერძი ადამიანია, მისი მთავარი ფასეულობით, თავისუფლებით, პასუხიმგებლობითა და ღირსებით !!!

რეგიონებს შორის იმერეთი პირველია, რომელიც ფართო საზოგადოებას ანგარიშს წარუდგენს. ის, რაც შევძელით და მომავალში, კიდევ უფრო მეტს შევძლებთ, რადგან არც ახალი წესები და არც ახლის კეთება, თქვენ იცით, სუფთა გვერდიდან არ დაწყებულა. ამ 2 წლის მანძილზე იყო არაერთი გარდამტეხი ეტაპი – სისტემური რეფორმები კოჰაბიტაციისა და ყოველდღიური ოპონირების, ხშირად „ჩასაფრების“ ფონზე; მასობრივი პოლიტიზირებიდან მასობრივ დემოკრატიულობაზე გადაყვანის ხშირად მტკივნეული პროცესიც; იმ ანბანური ჭეშმარიტებების თავიდან სწავლა, რასაც დემოკრატია გულისხმობს, ანუ–თითქმის მენტალური გარდაქმნა, რის პარალელურადაც იგეგმებოდა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, ახალი სკოლების მშენებლობები, ჯანდაცვის ახალი კონცეფციები, ახალი თვითმმართველობები გაზრდილი ლეგიტიმაციით, თავისუფალი მედიის ახალი შეგრძნება და ბევრი სხვა ... ურთულესი ეტაპები, რომელსაც თქვენი მხარდაჭერისა და თანამოაზრობის გარეშე ვერ გავივლიდით წარმატებულად. ეს გარდამტეხი ეტაპი უკვე თითქმის დასრულებულია და ჩვენ ახალ საფეხურზე გადავდივართ. ზუსტად ერთი წლის წინ, გუბერნატორის ადმინისტრაციაშიც ასეთი ნაბიჯებით დავიწყეთ .

## რეორგანიზაცია

ადმინისტრაციაში ფუნქციონირებდა 7 სტრუქტურული ერთეული. რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა 4 სამსახური 53 სამტატო ერთეულით. 39 პოზიციაზე გამოცხადდა ვაკანსია. საჭირო გახდა მუდმივმოქმედი საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შექმნა, რაც, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო, რადგან ბევრი პარამეტრი უნდა დაგვეკმაყოფილებინა: ობიექტურობა, კვალიფიკაციის ხარისხი და საზოგადოების ნდობა. ახლა უკვე შეიძლება თქმა, რომ ჩვენ ეს გამოწვევა დავძლიეთ. გუბერნატორის ადმინისტრაციაში დასაქმება რეგიონისთვის განსაკუთრებით საინტერესო თემა რომ გახლდათ, ამას ერთ ვაკანსიაზე პრეტენდენტთა რაოდენობაც მეტყველებდა (1x47). კომისიას უნდა შეექმნა პრეცედენტი, რომ სახელმწიფო ცხოვრების ახალ ეტაპზე ახალგაზრდულ ენერჯიას და კვალიფიციურ გამოცდილებას საკუთარი უნარების რეალიზების შანსი ჰქონდა. კომისიის ყველა წევრი საკუთარ გადაწყვეტილებაში დამოუკიდებელი იყო და ამის ილუსტრირების არა ერთი

მაგალითი გვაქვს. შედეგად, ადმინისტრაცია დაკომპლექტდა სინთეზურად, როგორც უკვე გამოცდილი და კვალიფიციური, ასევე ახლაგაზრდა, მოტივირებული პერსონალით. ადმინისტრაციაში მოვიდა ახალი მენეჯმენტი.

გუბერნიის რეორგანიზაცია კანონით განსაზღვრულ ვადებზე ადრე და მაქსიმალური შედეგით დასრულდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შედეგით, კი ის გახლდათ, რომ გუბერნიის ადმინისტრაცია იანვრის ბოლოს, უკვე ახალი გუნდით და სტაბილურობის განცდით (მოტივაციით) შეუდგა მუშაობას. ის, რომ საკონკურსო კომისიის მიმართ არ შემოსულა არცერთი პრეტენზია, დასტურია, რომ პროცესები იყო სწორად მართული. ეს იყო მაგალითი, რომელიც ვეცადეთ, მუნიციპალიტეტების რეალობაშიც ასახულიყო.

### **ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტები**

ამ დროისთვის, მიზეზთა გამო, მოშლილი იყო კომუნიკაცია გუბერნიასა და მუნიციპალიტეტებს შორის, რაც თავისთავად აფერხებდა საქმის ტემპს. ჩვენ ძალიან მოკლე დროში შევძელით კომუნიკაციის აღდგენა და გუბერნიამ დაიბრუნა ის მნიშვნელობა და ავტორიტეტი, რაც ხელს უწყობს თვითმმართველობების ეფექტურ მუშაობას. ამიტომაც, იმერეთში გაცილებით ადრე, უკვე თებერვლის თვიდან, დავიწყეთ ინტენსიური შეხვედრები საზოგადოების აქტიურ ნაწილთან. ადგილობრივ მმართველობაში რეგიონის მოსახლეობის მეტი ჩართულობის, გამჭვირვალობის და ინფორმირების მიზნით, 2014 წლის მანძილზე უკვე სამჯერ შედგა თითოეულ მუნიციპალიტეტში შეხვედრა საზოგადოებასთან. დეტალურად განვიხილეთ დაგეგმილი პროექტები და პრიორიტეტები; შევძელით წინა წლების ხარვეზების გამოსწორება მოქალაქეების ჩართულობით; მათვე ჩაბარდა 6 და 9 თვის მანძილზე გაწეული სამუშაოების ანგარიში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ.

ყოველი თვის ბოლოს იმართება სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციის სამსახურების, გამგებლების, რეგიონული სამსახურების წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც ჯამდება გაწეული საქმიანობა და იგეგმება მომავალი თვის აქტივობები.

მუნიციპალიტეტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და არსებული ინფორმაციის ანალიზის მიზნით, ადმინისტრაციაში შექმნა საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, სადაც თავს იყრის მუნიციპალიტეტებიდან მოსული ყველა ინფორმაცია, ხორციელდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება და განთავსება სერვერზე, რომელიც ხელმისაწვდომია გუბერნიის თანამშრომლებისთვის. ცენტრში ხელმისაწვდომია ინფორმაცია როგორც კონკრეტულ მუნიციპალიტეტის, ასევე ზოგადად რეგიონში თემატური საკითხების შესახებ.

მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საჭირო იყო მონიტორინგის ჯგუფის შექმნა ადმინისტრაციაში. უკვე 6 თვეა რაც ასეთი ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საქმიანობების შესწავლას და ადგილზე შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად მათ განხილვას. აღნიშნული ჯგუფი გასვლითი ვიზიტების დროს აქტიურ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს მუნიციპალიტეტებს არსებული პრობლემების გადაჭრასა და სწორი მიმართულებების განსაზღვრაში, ჯგუფის მიერ გაცემული მრავალი რეკომენდაცია გამხდარა არაერთი პრობლემის დროულად და წარმატებით გადაჭრის საფუძველი. ორმხრივი თანამშრომლობის

შედეგია სწორედ ის რომ, დღეს მუნიციპალიტეტები კონკრეტული საკითხების უკეთ დაგეგმვის მიზნით აღნიშნულ ჯგუფთან შეხვედრას თავად ითხოვენ.

ადმინისტრაცია ასევე აქტიურად უწყობდა ხელს და ახორციელებდა მონიტორინგს სოფლის კრებების ორგანიზებასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარანტირებული ყოფილიყო.

ანალოგიური ურთიერთობებით და ამ ერთწლიანი მუშაობით, გუბერნორმა დაამტკიცა, რომ ის არის თვითმმართველობების საიმედო და კომპეტენტური პარტნიორი რეალურ საქმეში წარმატების მისაღწევად.

ახალი თვითმმართველობის კოდექსი დიდი მონაპოვარია ქვეყნის დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიის განვითარების გზაზე. მუნიციპალიტეტებმა თავიანთი მანდატის განსახორციელებლად რეალური უფლებები მიიღეს. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა და 50%-იანი ბარიერი იყო იმ დანაპირების შესრულება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებას 2 წლის წინ მისცა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მაღალი ლეგიტიმაცია განუსაზღვრა არჩეულ თვითმმართველობებს.

რეგიონების განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია პრემიერის ხელმძღვანელობით შექმნილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიის საქმიანობა. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქვეყნის ხელისუფლების სწრაფვას რეგიონების განვითარებისათვის.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ასევე განისაზღვრა ადმინისტრაციული ხარჯის 25%-იანი ზღვარი, რომელიც წინა წლებთან შედარებით გაცილებით დაბალია. მოხდა თვითმმართველობაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის ლიმიტირება შესაბამისი ფორმულით. ქვეყნისთვის მონაპოვარია ისიც, რომ ნებისმიერ მსგავს გადაწყვეტილებაში ჩვენი ინიციატივა ხელისუფლებისგან გათვალისწინებულია, მაგალითად ფორმულის კორექტირება მუნიციპალიტეტის სპეციფიკის მიხედვით (მაღალმთიან სოფლებში).

აქტიურად დაიწყო მუშაობა გუბერნატორთან შექმნილმა საკონსულტაციო საბჭომ. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელშიც ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი არის ჩართული. სწორედ ამ ჯგუფების, საზოგადოების წარმომადგენლებისა და გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომლობით მომზადდა იმერეთის 2014–2021 წლების სტრატეგია და მუნიციპალიტეტებისათვის 2015–2017 წლების სამოქმედო გეგმები. ორივე დოკუმენტი წლის ბოლომდე განხილული იქნება საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

ამჟამად მუნიციპალიტეტებში საკონკურსო-საატესტაციო პროცესი არასამთავრობო ორგანიზაციების, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ჩართულობით მიმდინარეობს, რაც 2014 წლის ბოლომდე დასრულდება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მომავალი წლიდან ერთიან გუნდად და ახალი ენერგიით შევუდგეთ რეგიონისთვის დასახული მიზნების შესრულებას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გუბერნიის ინიციატივითა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდება ღია კარის დღე კონკურსანტებისათვის, სადაც ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი მათა

მიმინოშვილი თავად უპასუხებს კონკურსანტების შეკითხვებს. აღნიშნული ინიციატივა მართლაც უპრეცედენტოა და ნათლად მიანიშნებს მიმდინარე პროცესის გამჭვირვალობაზე.

### განათლება

დღეს ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თემები, მინდა საზოგადოების ინტერესის მიხედვით დალაგდეს და, რადგან ქვეყნის მომავალი განათლებას ეკუთვნის, რამდენიმე აქცენტი სწორედ ამ სფეროში გაკეთებული საქმით დავიწყო. ჩვენ გვესწრებიან ახალგაზრდები, რომლებიც რეგიონის უნივერსიტეტებს წარმოადგენენ, პროფესორ-მასწავლებლები, პედაგოგები, მშობლები, რომლებსაც სკოლების და ბაგა-ბალების მომავალი აღელვებთ და მეც მათ შორის ერთი რიგითი მშობელი ვარ, ვისაც საკუთარი შვილებისა და ახალი თაობის წარმატებისთვის ყველაფრის გაკეთება უნდა.

იმერეთის რეგიონის 222 სკოლის 11201 მოსწავლეს უფასო სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება. ეს მართლაც მნიშვნელოვანი შეღავათია, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში. ამ 2 წლის მანძილზე, რეაბილიტირდა საჯარო სკოლები. ეს გახლდათ ყველა დანარჩენ წელთან შედარებით, უპრეცედენტო სტატისტიკა, რისთვისაც მადლობას ვუხდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აშენდა ახალი სკოლა სოფელ როდინაულის სადგურ სვირში; დამტკიცდა სკოლების მშენებლობის პროექტი 2 სოფელში – მუხურასა და ზედა ვანში. უკვე დასრულდა სოფელ კიცხის საჯარო სკოლის შენობის სიტუაციური შესწავლა.

ქუთაისში ფუნქციონირება განაახლა ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ.

დაიწყო ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია. თქვენთვის ცნობილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება პროფესიული სასწავლებლების მხარდაჭერის შესახებ, რის შედეგადაც სამინისტროს წარმომადგენლები ჩვენთან ერთად არაერთხელ სტუმრობდნენ აღნიშნულ კოლეჯს, საგულისხმოა, რომ გუბერნიამ წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმების ვალდებულებაც აიღო.

ამ ყველაფერსა და საერთო სტატისტიკაზე (რომ იმერეთის რეგიონში 371 საჯარო სკოლაა, პედაგოგების კონტიგენტი რეგიონში შეადგენს სულ - 10048. მოსწავლეთა კონტიგენტი რეგიონში შეადგენს სულ - 70386ს. 2014 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობაა - 78.), ან მომავალში დაგეგმილ ღონისძიებებზე უფრო დეტალურად მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ლია გიგაური თავის გამოსვლაში ისაუბრებს. მე რეგიონისთვის ზოგად პრობლემებს გამოვყოფ, რაც ძირითადად ინფრასტრუქტურას უკავშირდება. სკოლებს ესაჭიროება: სპორტული დარბაზები, განახლებული კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორიები, სველი წერტილებისა და გაზიფიცირების მოწესრიგება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ქალბატონ მინისტრს, მისი ინიციატივისათვის სამინისტროს კომპეტენციიდან სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საკითხის ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დელეგირების თაობაზე.

პრობლემის დაძლევისა და წარმატების საერთო მაგალითად მინდა გავიხსენო თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძეგრის საჯარო სკოლა, სადაც საზაფხულო ბანაკში სტუმრად ვიმყოფებოდით. უკიდურესად ამორტიზებულ შენობაში შედიხარ და სხვა ცივილიზაცია გხვდება (ძეგრის სასწავლო დაწესებულებაში ამერიკული ბანაკის დაარსება, სადაც მოზარდებს "მშვიდობის კორპუსის" მოხალისე მასწავლებლები სემინარებსა და ვორქშოფებს უტარებენ, ბავშვები ისეთ განსხვავებულ სპორტის სახეობებს ეუფლებიან, როგორც არის: კრიკეტი და მინი გოლფი... რაც მთავარია, ყველა კურსდამთავრებულს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით გაივლის, სკოლა სწავლის საფასურს სრულად უფინანსებს) . ძეგრის სკოლა არის მაგალითი, როგორ შეიძლება პროგრესის მიღწევა მინიმალური რესურსით, ახალი ხედვით და სწორი მენეჯმენტით.

სულ რამდენიმე დღის წინ ვიზიემთ მუზეუმად ქცეული ქუთაისის 1 – ელი საჯარო სკოლის 185 წლის იუბილე. სკოლის შენობა ისტორიული ძეგლია და კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება. ეს სკოლა დაამთავრა იმ ადამიანთა უმრავლესობამ, ვინც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის საქართველოს კულტურას, ლიტერატურას და მეცნიერებას ქმნიდა. ეს არის ქართველი წმინდანის, ექვთიმეს, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, ცისფერყანწელებისა და ბევრი ღირსეული ქართველის სკოლა. მადლობა ყველას, ვინც ეს დღესასწაული მოუწყო ქალაქს.

აქვე არ შემიძლია მადლიერებით არ ვახსენო სკოლებს შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლა „ორიონი“, რომლის საჩუქარიც სიმბოლურად ჩემი სამუშაო ოთახის კედელს ამშვენებს და ამით ძალიან ვამაყობ.. სკოლა, სადაც 6–დან 18 წლამდე ბენეფიციარებისთვის განსაკუთრებულად კომფორტული სივრცეა და ქუთაისის 45–ე საჯარო სკოლა, რომლის მოსწავლეთა უნიკალური გამოფენით დაიწყო ჩვენი დღევანდელი შეხვედრა. (3 დეკემბერი შშმ პირების საერთაშორისო დღე).

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, მინდა გავიხსენო ქალბატონი ლია გიგაურის მიერ ტყიბულში გამართული შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იქნა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის კონცეფცია. მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრო განათლების პირველივე ეტაპის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ნამდვილად მესამაყება, რომ 2014 წელს რეგიონში აშენდა 9 ახალი საბავშვო ბაღი (ხარაგაულისა და საჩხერის მუნიციპალიტეტში) აქედან რამდენიმე სოფელში ბაღი არასოდეს ყოფილა. ასეთმა პროექტებმა არა მარტო ინფრასტრუქტურული ეფექტი შექმნეს, არამედ, ოჯახები დაუბრუნეს სოფელს (ხარაგაულის მაგალითი). ქუთაისში მიმდინარეობს კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. სულ სხვადასხვა სახის რეაბილიტაცია ჩაუტარდა 110 ბაღს.

თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღებს აქვთ იდენტური პრობლემები: შესაცვლელია მოძველებული ივენტარი, საჭიროა ეზოებისა და გასართობი ატრაქციონების მოწყობა, სველი წერტილების მოწესრიგება, წყლის, საკანალიზაციო და გათბობის სისტემების მოწყობა.

საბავშვო ბაღები ჩვენი ზრუნვის პროორიტეტული თემაა, რადგან უდავოდ, განათლება, ისე როგორც სწორი ფასეულობების აღქმა და სახელმწიფოს მეურვეობა საკუთარ მოქალაქეზე, იწყება სწორედ აქ, საბავშვო ბაღიდან!

## ჯანდაცვა

დიახ! ცხოვრებას უკეთესს გახდის განათლებული საზოგადოება, მაგრამ საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველა ოჯახისთვის ერთნაირად აუცილებელი, სწორედ ჯანმრთელობაა. სახელმწიფო ალბათ მაშინ არის შემდგარი, როცა საკუთარი მოქალაქის ჯანმრთელობის სრულად დაცვა შეუძლია და ჩვენ ამ გზაზე ვდგავართ! უნდა აღინიშნოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მნიშვნელობა ქვეყნის მასშტაბით, რომელმაც მილიონობით ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახადა სამედიცინო მომსახურება. ასევე აღსანიშნავია C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა. სწორედ ასეთი აქცენტების გათვალისწინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საკუთარი ანგარიში ჯანმრთელობის სფეროში განხორციელებული რეფორმებით დაიწყო.

იმერეთს ამ მხრივ აქვს ბევრი სათქმელიც და ბევრზე შემდგომში საზრუნავიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გუბერნიამ ამ სფეროში საკუთარი კოორდინაციითა და მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით გააკეთა 2014 წელს, იმერეთში 12 ახალი ამბულატორიის მშენებლობაა, მათ შორის საზღვრისპირა სოფელ პერევეში, რომელითაც ქარმანის მოსახლეობაც ისარგებლებს. შევარჩიეთ ტერიტორიები, უზრუნველვყავით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

იმერეთში მოქმედი 28 საავადმყოფოდან 22 კერძო, ხოლო 6 სახელმწიფო კლინიკაა. კერძო კლინიკების უმრავლესობა კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით. იგივეს ვერ ვიტყვით სახელმწიფო საავადმყოფოებზე. მაგალითად, ვანისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საავადმყოფოები შპს „ადათის“ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში დაბრუნდა, მაგრამ შენობები დაყადაღებულია და, შესაბამისად, მოსაძიებელი რჩება ალტერნატიული ფართი ან მშენებლობისთვის საჭირო თანხები. სამწუხაროდ, ვანის მოსახლეობას მეზობელ მუნიციპალიტეტებში უწევს სიარული სამედიცინო სერვისის მისაღებად. ჩვენი განსაკუთრებული აქტივობით, მაჟორიტარი დეპუტატისა და სამინისტროს მხარდაჭერით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია, შერჩეულია ტერიტორია და მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. ხარაგაულის მოსახლეობას უახლოეს მომავალში 10 საწოლზე გათვლილი მულტიფუნქციური სამედიცინო ბლოკი ექნება.

ჩვენ გვაქვს სპეციფიკური მუნიციპალიტეტებიც, ტყიბული და ჭიათურა, მეშახტეთა და მაღაროელთა ქალაქები. შახტაში აფეთქების დროს, როცა 7 ადამიანი დაშავდა, დამწვრობის განყოფილების და შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის არარსებობის გამო, დაზარალებულთა ტრანსპორტირება მოხდა ქუთაისსა და თბილისში. მიგვაჩნია, რომ ტყიბულში არსებული საავადმყოფოს ბაზაზე გაკეთდეს სათანადო სამედიცინო მოსახურების ცენტრი. აღნიშნული საკითხის ინიცირება გუბერნიის ადმინისტრაციამ შესაბამის უწყებებში უკვე გააკეთა.

მწვავე პრობლემაა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო ინფრასტრუქტურის მცირე მასშტაბები. ასევე, სამთოელებს და მათი ოჯახის წევრებს, კორპორაციული დაზღვევიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურებისთვის, სხვა

მუნიციპალიტეტებში უწევთ სიარული. ჩვენი სურვილია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენდეს მუნიციპალური საავადმყოფო (მინიმუმ 55 საწოლზე).

სულ ახლახანს, ქუთაისიდან რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს, პირადად მინისტრის, დავით სერგეენკოს მიერ, ახალი სამედიცინო დახმარების მანქანები გადაეცა. თქვენ იცით, რა მოძველებული იყო ამ სამსახურის ავტოპარკი და განსაკუთრებით რაიონებში, მაღალმთიან სოფლებში, სადაც ჯანმრთელობის პრობლემამდე, ადამიანებს შიში უფრო აზიანებდათ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულ დახმარებას არაოპერატიულად, ან საერთოდ ვერ მიიღებდნენ. იმერეთს დღეის მონაცემებით 12 მაღალგამავლობის და 3 საშუალო გამავლობის ავტომობილი გადაეცა და მომავალი წლისთვის კიდევ მეტის იმედს გვაძლევს სამინისტრო.

სულ რამდენიმე დღის წინ გაიხსნა ქუთაისში კიდევ ერთი, თანამედროვე სტანდარტის, მაღალტექნოლოგიური აპარატურით უზრუნველყოფილი კრიტიკული მედიცინის ცენტრი კლინიკა „ელ ჯი“-ში.

პირველად რეგიონებს შორის, იმერეთში იწყება მედდების გადამზადება ბავშვთა ზრუნვის საკითხებში. ჩვენს ადმინისტრაციასთან ერთად, დისტანციური სწავლების საპილოტე პროექტს ჯანდაცვის სამინისტრო და გაეროს ბავშვთა ფონდი ახორციელებს.

მეამაყება, რომ რეგიონის მუნიციპალიტეტებში, ჩვენი ადმინისტრაციის ჩართულობითა და ხელშეწყობით, უფასო სამედიცინო კვლევის აქციებს ინტენსიურად ახორციელებს ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრი, ინფექციური საავადმყოფო, ინგოროყვას კლინიკა. მინდა მაძღობა გადავუხადო მათ გულისხმიერებისათვის. ასევე გვაქვს ინიციატივა, ანალოგიური აქცია ჩავატაროთ საზღვრისპირა სოფლების, ქარძმანისა და სინაგურის მოსახლეობისთვის, რაც მათთვის სტიმულის მიმცემი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ქუთაისი სამედიცინო ინტელიგენციის ქალაქია. ვარლამ თოფურიას (პირველი მუნიციპალური კლინიკის დამაარსებელი) და დიმიტრი ნაზარიშვილის განსაკუთრებული ღვაწლით. ქალაქ ქუთაისის სამედიცინო საზოგადოება და მოსახლეობა მოითხოვს და მიესალმება მუნიციპალური საავადმყოფოს შექმნას. ამით:

- ✓ შეიქმნება რეალური კონკურენტული გარემო კერძო სამედიცინო დაწესებულებებთან მიმართებაში;
- ✓ საყოველთაო დაზღვევისმქონე ბენეფიციარს ექნება რეალური არჩევანის საშუალება სახელწმიფო და კერძო ჰოსპიტალებს შორის;
- ✓ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო და მათ შორის, მუნიციპალური თანხები უფრო ხარჯთეფექტური იქნება მუნიციპალურ ჰოსპიტალში, ვიდრე კერძო კლინიკებში;
- ✓ ერთხელ და სამუდამოდ ქალაქს ექნება საუნივერსიტეტო კლინიკა, რაც მნიშვნელოვნად გამოასწორებს და აამაღლებს მომავალი თაობების სწავლების დონეს;
- ✓ შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილების (150-ზე მეტი) და სამედიცინო პერსონალი მოტივირებული იქნება კვალიფიკაციის დონის მუდმივ ამაღლებაზე;
- ✓ გაიზრდება მაღალტექნოლოგიურ საწოლთა ფონდი, რის დეფიციტსაც მწვავედ განიცდის ქალაქი, ასევე მთელი რეგიონი.

ჩვენს შეხვედრას დღეს ესწრება ბატონი ზაზა სოფრომაძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, მაქვს იმედი, რომ ყველა ჩვენს პრობლემასა და წინადადებაზე მისი მხარდაჭერა იქნება ადეკვატური. და რადგან ჩვენი სტუმრის გამოსვლა ამ შეხვედრაზე იგეგმება, მე მხოლოდ სოციალური დახმარების თემატიკას შევეხები და თანაც, პრობლემურ ნაწილში

### სოციალური თემატიკა

აღარავინ დავობს, რომ სოციალური დახმარებების საკითხი ზოგადად მტკივნეულია ქვეყნისთვის და ასევე იმერეთისთვის. წარმოვაჩინო, ჩვენ რა სახის პრობლემებს ვაწყდებით, რაზეც მსჯელობა ღირს:

✓ იმ მიზეზით, რომ სოც. დახმარება არ მოეხსნათ, მოქალაქეები არა თუ დროებით სამუშაოზე ამბობენ უარს, არამედ გრძელვადიან სამსახურებზეც.

✓ ადმინისტრაციულ საზღვრისმიღმა სოფლებში: ქარმმანში, სინაგურში, თედელეთში, ტბეთში, ჯალაბეთში მცხოვრები ოჯახებისთვის სოც დახმარებების დანიშვნის საკითხი დღემდე გაურკვეველია. უფრო მეტიც, 5 ოჯახს, რომელსაც დანიშნული ჰქონდა სოც დახმარება, მოეხსნა, იმ საფუძვლით, რომ მათი გეგმიური მორიგი გადამოწმება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, შესაძლებელია, იქ მცხოვრები მოქალაქის სოც. აგენტად დანიშვნა.

ზოგადი ინფორმაციისთვის: იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებს შემუშავებული აქვთ სოციალური პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს იმავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოქალაქეების დახმარებას. 2014 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტით სოციალურ პროგრამებზე გათვალისწინებულია სულ – 9 321 400 ლარი.

გუბერნიის ადმინისტრაციამ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით იმერეთის მუნიციპალიტეტების შშმ პირებს გადასცა ეტლები. ამავე ორგანიზაციების მიერ მოხდა საბავშვო ბაღების სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ქუთაისში მომავალი წლისთვის სახელმწიფო დაწესებულებების შენობებზე პანდუსების მოწყობა. როცა ჩვენს გამოფენას ნახავდით, თქვენ აუცილებლად გაგიჩნდებოდათ განცდა, მეტი გააკეთოთ ამ ადამიანებისთვის, რომელიც ჩვენგან განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. ხვალ შშმ პირების საერთაშორისო დღეა და ქუთაისში ამ თემატიკის ბევრი ღონისძიება იგეგმება, მათ შორის სპორტულიც. სპორტი, ბევრ სიკეთესთან ერთად, სულის გაჯანსაღებასაც უწყობს ხელს და იმერეთს ამ სფეროში თავმოსაწონებლად ბევრი მიზეზი აქვს.

3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღეა. ჩვენ შევეცადეთ შევხმიანებოდით ამ დღეს და ამიტომაც მოვაწყვეთ აი ეს გამოფენა, სადაც შშმ პირების მიერ შექმნილი ნამუშევრებია წარმოდგენილი. ისინი ასევე ესწრებიან ჩვენს ღონისძიებას და მინდა მათ მივესალმო. საზოგადოების სიჯანსაღის ერთ-ერთი მაჩვენებელი სწორედ ამ პირების მიმართ განხორციელებული აქტივობების სიმრავლითა და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფით განისაზღვრება.



## ახალგაზრდობა და სპორტი

გასული და მიმდინარე წელი სპორტული აქტივობების თავალსაზრისით, ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა იმერეთის რეგიონისათვის. მარტო მიმდინარე წელს გვყავს 3 მსოფლიო ჩემპიონი და 6 ევროპის ჩემპიონი, პირველად იქნა მოპოვებული, მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთში ვერცხლის მედალი. გუნდური სახეობებიდან კალათბურთში,

"ქუთაისი - 2010" - ის მიერ საქართველოს სუპერთასის მოპოვება, მართლაც საუკეთესო შედეგებია. უფრო მეტიც, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე „თბილისი - 2015“ - ზე იმერეთს საქართველოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ნაკრებში, ყველაზე დიდი წარმომადგენლობითი დელეგაცია ეყოლება. წინასწარი პროგნოზით 120 კაციან სპორტულ დელეგაციაში იმერეთი 28 – 30 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ქუთაისელი სპორტსმენების გარდა პირველად ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე გამოვლენ, სამტრედიის, ვანის, საჩხერის, ზესტაფონის ახალგაზრდა სპორტსმენები.

აღსანიშნავია იმერეთში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ✓ მიმდინარე რაგბის აკადემიის მშენებლობა ქუთაისში
- ✓ ახალი სტადიონის მშენებლობა წყალტუბოში
- ✓ დასრულებული სტადიონისა და სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია ვანში
- ✓ დასრულდა საცურაო აუზის და მომავალ წელს გაგრძელდება სპორტული არენისა რეაბილიტაცია ტყიბულში
- ✓ 40-მდე მცირე ზომის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია მთელი რეგიონის მასშტაბით.

მის შესახებ აქვე უნდა ვთქვა საფეხბურთო კლუბ ტორპედოსთან დაკავშირებული პრობლემა. კომპანია "ვისოლი" მომავალი წლიდან აღარ იქნება გუნდის მესაკუთრე და ამიტომ საჭიროა დროულად მოხდეს ტორპედოსათვის საჭირო თანხების მოძიება, რათა გუნდმა შეძლოს ფუნქციონირება და ამ საკითხში აუცილებელია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აქტიური ჩართულობა და ქალაქის მესვეურებთან ერთად ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებად კვლავ რჩება ახალგაზრდობა, ქვეყნის ყველაზე დიდი ფასეულობა. ჩვენი და რეგიონის მუნიციპალიტეტების საქმიანობის სამომავლო თემად რჩება:

- ✓ ახალგაზრდობის განათლების, დასაქმებისა და მობილობის ხელშეწყობა
- ✓ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით მათი სპორტულ აქტივობებში მასიური ჩართვა
- ✓ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება
- ✓ ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება
- ✓ ფესტივალების მოწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში

✓ აუცილებელია ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება და მათი დარწმუნება სავალდებულო საჯარო სამსახურის გავლის აუცილებლობასა და სარგებელზე. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაძლიერდეს და გაწვევის საკითხი უკეთ უნდა იქნას ორგანიზებული.

## კულტურა

ეს არის თემა, რომელიც საუკეთესო ემოციით ყველას გვაერთიანებს და ყველასთვის ერთნაირად მისაღებია.

მინდა დავიწყო სახალხო დღესასწაულებით, რომლის ტრადიციაც 2014 წელს ყველა მუნიციპალიტეტში განახლდა ან დაიწყო. დღესასწაულები ძირითადად შემოდგომის პერიოდში ტარდება და შესაბამისად, ხვავსა და ბარაქას უკავშირდება. თავისი შინაარსით, დანიშნულებითა და მიზნით სრულიად სხვა მნიშვნელობის მატარებელია "გვირილობის" დღესასწაული. ქუთაისში ორმაისობა ჯერ კიდევ საუკუნის წინ იმართებოდა "გვირილობით", დოღით, ორატორთა შეჯიბრით, საქველმოქმედო აქციებითა და საყოველთაო სახალხო ზეიმით ბულვარში. "გიმნაზისტკები" და "გიმნაზისტები" ბულვარში გართობა-სეირნობის დროს იაფ ლატარეას ათამაშებდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შესაწირად ან ჭლექით დაავადებულთა დასახმარებლად. დღეს ის სრულიად რეგიონის დღესასწაულია და 2014 წელს განსაკუთრებულად აღინიშნა. ანალოგიური შინაარსის დღესასწაულები იშვიათი კულტურის და ისტორიის ქალაქებს თუ გააჩნიათ მისი სიმბოლიკით, მიზნით და სანახაობით. გვირილობა ჩვენი სავიზიტო ბარათია. აქ მყოფ ყველა სტუმარს, 2015 წლის 2 მაისს სიამოვნებით გიმასპინძლებთ რეგიონის უპირველეს ქალაქში, მის ყველაზე დიდ დღესასწაულზე, რომელიც არამარტო ქუთაისის, არამედ რეგიონის დღესასწაულად იქცა.

2014 წლის იმერული კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო "თეატრალური იმერეთი 2014". ფესტივალის ფარგლებში, ორი კვირის განმავლობაში, ყველა მუნიციპალიტეტს მიეცა საშუალება, რომ ლაღო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე საკუთარი სპექტაკლი წარმოედგინა. "თეატრალური იმერეთი"-ის მიზანს მუნიციპალიტეტებში მომუშავე სახალხო თუ პროფესიული დასების მოტივაციის ამაღლება და გააქტიურება წარმოადგენს.

იმერეთი კულტურულად აქტიური რეგიონი იყო და არის, ამიტომ განსაკუთრებულია ჩვენი აქტივობაც ამ კუთხით. მე მხოლოდ ბოლო ორი წლის, უფრო კი 2014 წელს ჩატარებულ მასშტაბურ ღონისძიებებზე მოგახსენებთ და ალბათ, ბევრი რამ უთქმელიც დამრჩება, ფაქტია: უკვე ტრადიციასა „ვარინკობა“ ზესტაფონში, "ნიკოობა" სამტრედიამი, "გალაკტიონობა" ვანში, "თამარობა" გეგუთში, "დავითობა" გელათში – ეს დღეები კარგა ხანია სახალხო ზეიმის ფორმატში გადავიდა.

იმერეთმა განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა ქართულ-ებრაული დღეები ქუთაისსა და ვანში, რომელზეც აშკელონის ოფიციალური დელეგაცია და ელჩი გვსტუმრობდა. დაიდგა „ვეფხისტყაოსნის" ივრითზე მთარგმნელის, ბორის გაპონოვის ძეგლი ქუთაისის ებრაულ უბანში;

სოფელ პერევეში ჩატარდა ქართული კერძების ფესტივალი, სადაც სინაგურის და ქარძმანის მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას;

2014 წელს წყალტუბომ უკვე მეორედ უმასპინძლა ხელოვნების ფესტივალს. ჩავატარეთ საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი.

ვემზადებით აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთვის საჩხერეში, გაკეთდა მუხრანის სკვერი და ბიუსტი, წყალტუბოში გაიხსნა ოტია იოსელიანის ქუჩა და საზოგადოების მოთხოვნით, მომავალი წლისთვის ჩვენი დროის კლასიკოსის ძეგლის დადგმაზეც ვმუშაობთ;

მოკლედ, ჩვენს ტემპს და ინტერესს კულტურულ პროექტებში, რა თქმა უნდა, ჭირდება კეთილმოწყობილი კულტურის ცენტრები მუნიციპალიტეტში, რაც განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ერთ-ერთი მთავარი თემაა (ხარაგაული, ვანი, თერჯოლა, ხონი), რომელიც შეგეძლოთ ჩვენს ფოტოკოლაჟზეც გეხილათ. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ გიორგი სიხარულიძეს, ქალბატონ ზეინაბ ბურჯანაძეს, ირინა ლომინაძეს და კულტურის სფეროს ყველა წარმომადგენელს იმ განხორციელებული საინტერესო პროექტებისათვის რომელიც მაცურებელმა მიმდინარე წელს იხილა.

ახლა, როცა, ამ შეხვედრას ბატონი ნიკა ანთიმე ესწრება, ვერ გავკადნიერდები, რომ მე დეტალურად ვისაუბრო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე, მაგრამ აღვნიშნავ რამდენიმე თემას, სადაც ჩვენი უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით მოხდა ისტორიული ძეგლების მიმდებარედ არსებული ტერიტორიების სამართლებრივ ფორმაში მოყვანა. მიმდინარეობს გელათის, გეგუთის, კაცხის სვეტის, უბისისა და მოწამეთის წინამდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურული მოწესრიგება მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით. მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის საელჩოს საქართველოში გელათის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დაფინანსებისთვის. ანალოგიური პროექტები რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასაც უწყობს ხელს და წელს 2013 წელთან შედარებით, 15% – ით გაიზარდა ტურისტთა რიცხვი რეგიონში.

## ტურიზმი

ტურიზმი რეგიონის ბიზნეს-სექტორის ერთერთი ყველაზე განვითარებული სფეროა. მიუხედავად ამისა რეგიონში კვლავაც გვხვდება ტურისტული პოტენციალის მქონე აუთვისებელი ობიექტები, რაც შესაძლებლობას იძლევა ინვესტირების შემთხვევაში ათვისებულ იქნას ისეთი პოტენციალის მქონე ობიექტები, როგორცაა: ბალნეოლოგიური კურორტი ზეკარი, ველური და სამონადირეო ტურიზმის შესაძლებლობა სოფელ კინჩხაში, სოფელ ცუცხვათში მდებარე კარსტული მღვიმე-მადარა, სოფელ ბოსლევიში არსებული ბალნეოლოგიური კურორტი ნიჩაფა, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარე "წითელი მინდორი" და ა.შ

იმერეთში ტურიზმის განვითარებას პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია. იმერეთის ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას დაცული

ტერიტორიები და ეროვნული პარკები, კურორტები და საკურორტო ზონები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სათაფლიის ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 75 000 ჰა ფართობით. დღეს იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა. მათ შორისაა წყალტუბო, ნუნისი, საირმე, სულორი, კვერეთი, საწირე, ზვარე, ამაღლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), სადაც არის როგორც კარსტული გამოქვაბული, ისე მსოფლიოში უნიკალური აღმოჩენა – დინოზავრის ნაკვალევი, ასევე აღსანიშნავია პრომეთეს მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესია განზომილებით, მიწისქვეშა მდინარეების მნიშვნელობით და პეიზაჟის მრავალფეროვნებით, რამოდენიმე თვეა ხონის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ოკაცეს კანიონი, რაც ვიზიტორთა დიდ ინტერესს იწვევს.

იმერეთში განვითარებულია აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები, ამის საშუალებას მას აძლევს მთისა და ტყის მასივები, რომელსაც იმერეთში 250 000 ჰა. ფართობი უჭირავს. ესენია სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, ეკო ტურიზმი.

ახალი შინაარსი შეიძინა აგროტურიზმმა, ამ ბიზნესით იმერეთში 200-ზე მეტი გლეხური მეურნეობაა დაინტერესებული. კარგი პერესპექტივები აქვს სამონადირეო ტურიზმს. ცალკე აღნიშნავს იმსახურებს ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. ამ მიმართულებით დამუშავებულია მომსახურების პროგრამები, როგორც იმერეთის, ასევე რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, სამეგრელოს რეგიონებში მდიდარი ხალხური ტრადიციებისა და ფოლკლორის გასაცნობად.

იმერეთის რეგიონში ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული ტურისტების რაოდენობის ზრდას.

✓ 2013 წლის შედეგებით იმერეთში უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორების მიერ ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები 400 000 კაცმა მოინახულა. მათ შორის 35-37 % უცხოელი იყო

✓ 2014 წლის ნოემბრის ჩათვლით ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებზე დაფიქსირდა 420 000 კაცი. მათ შორის 45-48% უცხოელი. ტურისტთა მატებას ხელი მნიშვნელოვნად შეუშალა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. ქუთისის საერთაშორისო აეროპორტში შეწყდა ფრენები დნეპროპეტროვსკიდან, დონეცკიდან, ხარკოვიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტთა ნაკადი, მიუხედავად ამისა, უკრაინა კვლავ ინარჩუნებს პირველ ადგილს ქუთაისში ტურისტთა რაოდენობით

✓ რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს დ. აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. იაფმა და სხვადასხვა ფენისთვის ხელმისაწვდომმა ფასებმა, აეროპორტს რეგიონული მასშტაბი შესძინა. გაიხსნა ახალი რეისი ბუქარესტის მიმართულებით

✓ 2014 წელს სოფელ გორდში გახსნილმა "ოკაცეს კანიონმა" მნიშვნელოვანი გამოხმაურება მიიღო ქართულ ტურისტულ ბაზარზე. ახალი ბრენდი ოტომბრიდან დღემდე 3000 – მა ტურისტმა დაათვალიერა. მათ შორის 45 % უცხოელი ტურისტი იყო

- ✓ მნიშვნელოვნად გაიზარდა სასტუმროების სასტუმრო სახლებისა და ჰოსტელების რაოდენობა. მარტო 2014 წელს შეიქმნა 110 ჰოსტელი და საერთო რიცხვმა 130 მიაღწია, დღეს ქალაქში 75 სასტუმრო სახლი და 30 სასტუმროა. საწოლი ადგილების საერთო რაოდენობა 2000 გადააჭარბა, ამასთან წლიური საერთო დატვირთვის მაჩვენებელი მხოლოდ 30-35 % –ს შეადგენს. ამის მიზეზია ისეთი ტევადობის ბრენდული სასტუმროების არქონა, რომლებსაც შეეძლებათ ერთდროულად მიიღონ 3-4 ტურისტული ჯგუფი, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას და შესაბამისი თანხები გამოიყოს ქუთაისში შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით:
- ✓ რეგიონული ტურისტული ცენტრის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული ნაკადების კოორდინირებასა და ყველა საჭირო ინფორმაციით მათ უზრუნველყოფას;
- ✓ გასამართია ჰოსტელების, სასტუმროების ერთიანი მოწესრიგებული ქსელი, რომელიც ტურისტების გეგმიურ განთავსებას უზრუნველყოფს. კარგი იქნება თუ მოხერხდება გესტჰაუსებისა და ჰოსტელების მესაკუთრეთა გადამზადება სერვისის მიწოდების საკითხებში და მცირე გრანტებით დაფინანსების გაცემა შენობების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ ტურისტული მარშრუტების აღმნიშვნელი ფირნიშების მოწყობა;
- ✓ მართალია, ქუთაისის ცენტრალური ნაწილის ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარებულია, თუმცა ჩასატარებელია, ფალიაშვილის, წმინდა ნინოს და სხვა მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია, რაზედაც არსებობს პროექტები, ამასთან უნდა მოხდეს ხსენებული პროექტების დაფინანსების მოძიება. ქალაქის ცენტრალური ნაწილის მთლიანად რეაბილიტაცია გამოიწვევს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სახით მისი ისტორიული სტატუსის დაბრუნებასა და მოიზიდავს ტურისტებსაც.
- ✓ ქუთაისის აეროპორტის მიმზიდველობის გაძლიერების მიზნით, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ავტობუსების დანიშვნა თბილისიდან და მოგვიანებით სხვა რეგიონებიდან კოპიტნარის აეროპორტამდე, ფრენების მიხედვით.
- ✓ წყალტუბოს განვითარების არსებული გეგმების განხორციელების შემთხვევაში რეგიონში შეიქმნება სამუშაო ადგილები. ამიტომ საჭირო იქნება ადგილობრივების მომზადება ტურიზმისა და სერვისის სფეროებში მოკლევადიანი, ინტენსიური პროფესიული გადამზადების კურსების მეშვეობით.
- ✓ უცხოელ ტურისტებთან კომუნიკაციის ამაღლების მიზნით საჭიროა, რეგიონში უფასო უცხო ენების (ინგლისური, რუსული) სწავლების კურსების ორგანიზება ყველასათვის.
- ✓ შიდა ტურიზმის განვითარებისთვის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე გიდებიანი ავტობუსების დანიშვნა იმერეთის ტურისტულ ღირშესანიშნაობებთან მისასვლელად. ძვირი არ უნდა იყოს. შეიძლება გაზაფხულიდან დაწყება, მაგისტრალის ახალი მონაკვეთებიც იქნება დამთავრებული და ხალხი ნახავს, რა გაკეთდა.
- ✓ იმერეთში ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელთა და ქართველი დიზაინრების თანამშრომლობის ხელშეწყობა, რათა შესაძლებელი გახდეს თანამედროვე დიზაინის პროდუქციის წარმოება. ამისათვის თანამედროვე აღჭურვილობის შექმნაში

დახმარება (არამართო გრანტად მიცემა, არამედ დახმარება იმაშიც, რომ მოძებნოს და ადგილამდე ჩამოიტანოს, ა.შ.)

- ✓ ავტობანის იმერეთის ახალი მონაკვეთის გახსნის შემდეგ, ძველ გზაზე მოვაჭრეთა დასაქმების-ახალი ადგილის შექმნის საკითხი
- ✓ აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით იგეგმება იმერეთის რეგიონის ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება. კერძოდ, განხორციელდება: წყალტუბოს ურბანული აღორძინების პროგრამა, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია, გელათის მონასტრის, კაცხის ეკლესიის და კაცხის სვეტის, უბისის მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის ზონის კეთილმოწყობა.
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ტურისტული კარვების გასაშლელი ადგილების გამოყოფა და მათი მოწყობა ტურიზმის სააგენტოს მიერ შემუშავებული ერთიანი სტანდარტის მიხედვით;
- ✓ ავტობანის ახალ მონაკვეთებზე ტურისტული და ისტორიული ადგილების აღმნიშვნელი ორენოვანი ფირნიშებისა და მაჩვენებლების მოწყობა;
- ✓ თვითმმართველობების მიერ ქალაქებში ტურისტული ინფრასტრუქტურის მომზადება შეზღუდული გადაადგილების უნარის მქონე ტურისტული ჯგუფების მისაღებად.

### **საერთაშორისო ურთიერთობები**

მიმდინარე წელი საერთაშორისო ურთიერთობების კუთხითაც მნიშვნელოვანი იყო. შედგა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის აშშ, ჩინეთის, ისრაელის, თურქეთის, ლიტვის, ესტონეთის, ირანის ელჩებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2 სამუშაო შეხვედრა აშშ-ს ელჩთან ბატონ ნორლანდთან.

უნდა აღინიშნოს წარმატებული თანამშრომლობა პოლონეთის კუიევი-პომორსკის რეგიონთან. ნოემბრის თვეში, ჩვენი დელეგაციის პოლონეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა რეგიონებს შორის თანამშრომლობის დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივი პროექტების განხორციელებას და გამოცდილების გაზიარების კუთხით საჯარო სამსახურის ადმინისტრირების, ტურიზმის განვითარების, სოციალური პროგრამებისა და კულტურის სფეროში. უკვე შემუშვდა კონკრეტული საპროექტო იდეები ტურიზმისა და სოციალური პროგრამების მომზადების კუთხით. იანვრის თვის ბოლოს ასევე ველოდებით პოლონელ ბიზნესმენტა ჯგუფის ვიზიტს იმერეთში.

აღსანიშნავია შეხვედრა ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტთან და აღმასრულებელ მდივანთან, რომელიც თბილისში შედგა. ერა არის ყველაზე დიდი ევროპული ორგანიზაცია, რომელიც 200-მდე ევროპულ რეგიონს აერთიანებს. იმერეთი იყო აღნიშნული ორგანიზაციის წევრი, თუმცა წინა ხელისუფლების დროს საწევროს გადაუხდელობის გამო წევრობა შეჩერებულ იქნა. ერა-ს წევრობა არის რეალური პერსპექტივა ევროპულ რეგიონებთან თანამშრომლობის და საერთაშორისო დონეზე

იმერეთის უკეთ წარმოჩენის, ასევე წევრობა ხელს შეუწყობს რეგიონის ცნობადობის დონის ამაღლებას და მის პოზიციონირებას სხვადასხვა ევროპულ სტრუქტურებში, რეგიონის განვითარებას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების, გამოწვევების გამოყენების მიზნით.

სამხარეო ადმინისტრაცია დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებით და ამ მიზნის მისაღწევად, ვფიქრობთ, კარგი საშუალება იქნება ქუთაისში დაძმობილებულ ქალაქთა ფესტივლის ორგანიზება. ეს ის თემაა, რომელშიც ქუთაისს და ზოგადად იმერეთს აქვს დიდი გამოცდილება და ჰყავს მრავალი დაძმობილებული ქალაქი და რეგიონი. ქუთაის–ნიუპორტის ურთიერთობა არის წარმატებული ურთიერთობის ნიმუში რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია რაც გრძელდება და რაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა ამ ურთიერთობისადმი ბრიტანეთის საელჩოში გამართულ ოფიციალურ მიღებაზე.

ირანის ელჩის ვიზიტის დროს გაჟღერდა ინიციატივა იმერეთის ირანის 2 რეგიონთან ისპაჰანთან და გილანთან დაძმობილების თაობაზე. გუბერნიის დელეგაცია ირანში ოფიციალური ვიზიტით მიწვეული იქნა.

შედგა გუბერნატორის ვიზიტი ისრაელის ქალაქ აშკელონში და აშკელონის დელეგაციის ვიზიტი ქუთაისში.

რეგიონს აქვს სურვილი აქტიურად ჩაერთოს "მერების შეთანხმებაში". ეს არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა და აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. აღნიშნულ პროექტში ჩართულობის მიზნით, მონაწილეობა მივიღეთ ერევანში გამართულ ენერგოეფექტურობის საერთაშორისო ფორუმში. პროექტის საქართველოს წარმომადგენლობასთან მიღწეულია შეთანხმება იმერეთის რეგიონულ კოორდინატორად ინიცირების შესახებ.

### **გარემოს დაცვა**

საქართველოს პრემიერ–მინისტრის მოწოდებით წელს საქართველოში გამწვანების და დასუფთავების მასობრივი აქციები გაიმართა. მათ შორის იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხე–მცენარე, დასუფთავდა ქალაქები, სოფლები, გზისპირა მონაკვეთები. ანალოგიური აქციები საზოგადოების ცნობილ სახეებთან ერთად პერმანენტულად გაიმართება. აუცილებელია აღნიშნულ აქციებში უფრო მეტად იყვნენ ჩართულები ახალგაზრდები, რაც გააძლიერებს მათ დამოკიდებულებას ბუნებასთან და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივა საკურორტო ზონებისათვის ნაგავმზიდებისა და ნაგვის ურნების შექმნა.

უნდა მოგვარდეს აღმოსავლეთ–დასავლეთის მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების საკითხი. დღეს ეს პროცესი მუნიციპალიტეტების შესაბამისი

სამსახურების მიერ ხორციელდება და ადამინური და ტექნიკური რესურსების სიმცირის გამო სათანადო დონეზე ვერ მიმდინარეობს. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება თუ ამას ცენტრალიზებული ხასიათი ექნება.

რაც შეეხება ტყით სარგებლობის საკითხს, „სოციალური ჭრების ფარგლებში მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი რესურსის დასაბუთებულობის შემსწავლელი კომისიის" შექმნამ ნამდვილად გამოიცილა, მეტნაკლებად მაინც, არადანიშნულებისამებრ გამოყოფილი სამასალე ხის განაწილება. დროულად ხდება ბენეფიციარის მიერ დასმული საკითხის შესწავლა და მასზე რეაგირებაც.

2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე შემოსულია ზემოაღნიშნული კომისიის განსახილველი 97 განცხადება. აქედან, ხე-მასალის გამოყოფისათვის სატყეო სააგენტოს წინაშე შუამდგომლობა გაეწია 32 მოქალაქეს და ყველა მათგანი დაკმაყოფილდა.

2014 წლის 1 – ლი იანვრიდან დღემდე იმერეთის რეგიონში გამოყოფილია 404 ტყეკაფი, რომელთა მოცულობა შეადგენს 84 059 კბ. მ. უკვე ათვისებულია 53 219 კბ.მ.

თუმცა, ჩნდება პრობლემებიც, მაგალითად:

- ✓ უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობაზე ხე-მასალის გამოყოფა ხდება საცხოვრებელიდან საკმაოდ მოშორებულ მანძილზე, რაც ტრანსპორტირებისთვის დამატებით ხარჯს მოითხოვს, რისი ვერ მოძიების გამოც ვადა გაუდის ხე-ტყის დამზადების ბილეთს.
- ✓ რამოდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა ხე-ტყის დამზადების ბილეთის არაკანონიერ მფლობელზე გაცემის პრეცედენტებს.
- ✓ სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ „ლიბერთი ბანკის" მიერ ტყითსარგებლობის ბარათების გაცემის პროცესს. გაუმართავი სისტემით ზარალდება გლეხი და სარგებლობს ხისდამამზადებელი.

### **იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხები**

ძირითადი პრობლემები, რომლებიც არსებობს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, არის მათი განსახლება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და დასაქმება. იმერეთში ეს პროცესი 2014 წელს ყველაზე აქტიურად დაიწყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, იგეგმება 25 კორპუსის მშენებლობა ქუთაისში.

გაიხსნა ახალი ობიექტები-ქუთაისში, თერჯოლაში, ზესტაფონში, წყალტუბოში, სამტრედიასა და ვანში (სულ 488 ბინა, 1700 დევნილისთვის).

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 ობიექტს. კერძო სექტორში საცხოვრებელი ბინა შეძენილია 17 დევნილი ოჯახისათვის, ხოლო 38 ოჯახისათვის მიმდინარეობს შეძენის პროცესი. ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სამ ობიექტზე ქუთაისში. დევნილებისათვის, სოფლად კერძო სახლის (საკარმიდამო ნაკვეთით) შეძენის პროექტის ფარგლებში, სამინისტრომ შეისყიდა 40 სახლი. ყველა ეს პროექტი გააუმჯობესებს იძულებით გადაადგილებულთა საყოფაცხოვრებო პირობებს.



## ენერგეტიკა

იმერეთში გამრიცხველიანების პროცესი სრულად მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება.

✓ ხარაგაულის რაიონის სოფელ შრომაში, ექსეულიძეების უბანში, სადაც 6 კომლი ცხოვრობს და არასდროს ყოფილა შუქი, მიმდინარე წელს განხორციელდა ელექტროფიკაციის პროექტი

✓ წლის ბოლომდე ასევე ელექტროფიცირებული იქნება საჩხერის რაიონის 2 სოფელი ჩონთო და ვაკისა, სადაც შესაბამისად 7 და 5 კომლი ცხოვრობს.

### პრობლემატიკა

ზოგადად თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ელექტროსადენები მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ზოგ შემთხვევებში ამორტიზირებულია საყრდენი ბოძები ექსპლუატაციის ვადის გასვლის გამო, რის გამოც ხშირად ხდება მოსახლეობისთვის შუქის ავარიულად გამორთვები.

✓ ტყიბულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს ენერგოკომპანიის მიერ დაგეგმილია 14 სოფლის გამრიცხველიანება. 2015 წლისათვის დარჩენილია 8 სოფლის გამრიცხველიანება. საჭიროა პროცესის დაჩქარება.

✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება ძირითადად ხდება მიწაწითელის წყლის სათავე ნაგებობის მეშვეობით სარეზერვო ელექტრომომარაგებით. აღნიშნულ ქსელს ამ ეტაპზე დენით აქვს მხოლოდ ერთი კვება, რის გამოც ამ ხაზზე ელექტროენერჯის გათიშვის შემთხვევაში, დაზიანების აღდგენამდე, მოსახლეობას უწყდება წყალმომარაგება. საკითხი დასმულია შესაბამისი უწყებების წინაშე და პრობლემის მოგვარება მიმდინარეობს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და წყალმომარაგების კომპანიის დახმარებით.

## გაზიფიცირება

2014 წელს "სოკარ გაზ ჯორჯიას" მიერ გაყვანილ იქნა 181 936 გრძივი მეტრი გაზსადენი, რომლის პოტენციური აბონენტის რაოდენობა შეადგენს 4500 ოჯახს. აგრეთვე, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, 2014 წლის ივნისში, დაიწყო ქალაქ ტყიბულის გაზიფიცირების პირველადი სამუშაოები, რომელიც დასრულდება მომავალი წლის ზაფხულში, რის შედეგადაც 4300 ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი.

ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მიმდინარეობს ხონის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების გაზიფიცირების პროცესი.

✓ პოტენციურ აბონენტთა სრული რაოდენობა იმერეთის მასშტაბით არის 154 975. აქედან გაზიფიცირებულია 74 368 აბონენტი (47,9 %).

✓ "სოკარ გაზ ჯორჯიას" ხელმძღვანელოასთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა ქუთაისში გუმათჰესის დასახლების გაზიფიცირება,

- ✓ გაზიფიცირების პროცესი ასევე დაიწყო და მიმდინარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში გოჩა ჯიხაიშში და პატარა ჯიხაიშში
- ✓ გაყვანილ იქნა ახალი ცენტრალური მაგისტრალი ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩაში
- ✓ სრულდება სამტრედიისა და ტყიბულის გაზიფიცირების პროცესი
- ✓ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და გაზიფიცირების გადასახადი შემცირდა 600 ლარიდან 400 ლარამდე
- ✓ სავალდებულო გახდა ცენტრალური მაგისტრალის 300 მეტრის რადიუსში აბონენტთა გაზიფიცირება

### სოფლის მეურნეობა

იმერეთი არსებითად აგრარული რეგიონია, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო სექტორს. ჩვენ შეხვედრას ესწრება სოფლის მეურნეობის მინისტრი ბატონი ოთარ დანელია (დიდი მადლობა მობრძანებისთვის, ბატონო ოთარ) , რომელიც აქტიურად თანამშრომლობს იმერეთის რეგიონთან და სრულ სურათს, ალბათ მინისტრი საკუთარ გამოსვლაში შემოგვთავაზებს. ჩვენ შეხვედრას ესწრება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობაც, ვისთანაც ჩვენ ყოველდღიური შეხება გვაქვს, ვიცით პრობლემები, რომელიც სპეციფიკურია იმერეთისთვის და გაკეთებული საქმეც, რომელიც აუცილებელია რეგიონის ხვალისდელი დღისთვის. ჩვენი, გუბერნიის ინიციატივით, ინტენსიურად ეწყობოდა სამუშაო შეხვედრები სამტრედიისა და ზესტაფონის შპს „მექანიზატორთან“, რაც ხელს უწყობდა ხვნა-თესვის პროცესის ორგანიზებას მუნიციპალიტეტების შესაბამისად.

აქვე გვინდა ინიციატივით მივმართოთ სამინისტროს რათა განვიხილოთ შესაძლებლობა აგრობარათებით სარწყავი წყლის საფასურის, ნიადაგის ანალიზის და სხვა სერვისების ღირებულების გადახდის შესახებ; ასევე გვინდა ინიცირება გავუკეთოთ ნიადაგის ბონიტრების ლაბორატორიის შექმნას იმერეთში;

სამინისტროს მიერ ინიცირებული იქნა აგროდაზღვევის პროექტი, რაც მნიშვნელოვანი დახმარებაა ფერმერთათვის, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი უფრო დახვეწას საჭიროებს რეგიონებისათვის დამახასიათებელი კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე.

✓ მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში იმერეთის 164 458 ბენეფიციარისათვის გამოეყო 17 071 904 ლარი. მათ შორის 143 563 აგრო ბარათი ჯამური ღირებულებით 11 288 290 ლარი და 70 031 ხვნის-ბარათი ჯამური ღირებულებით 5 774 750 ლარი.

✓ 2013 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებში სამთავრობო პროგრამის ფარგლებში დამუშავდა 58 303 ჰა, ხოლო 2014 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 7%-ით და შეადგინა 62 360 ჰა. დამუშავებული ფართობების მიხედვით იმერეთში ყველაზე მეტი ფართობი დამუშავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 11 431 ჰა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნიადაგის ბონიტირების ჩატარებისთვის მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიის შექმნა რეგიონში, რაც სოფლის მეურნეობის სექტორს გაუადვილებს შრომას და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნის.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მძიმე კლიმატური პირობების გამო იმერეთის მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში განადგურებული იქნა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის 60%-70%-მდე. კონკრეტულად: ტყიბულის, ბაღდათის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სადაც ზარალმა 80%-მდე მიაღწია. აღნიშნული მუნიციპალიტეტების ზოგიერთ სოფელში, საერთოდ განადგურდა ლობიოს, სიმინდის, ყურძნის მოსავალი. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, ზამთრის პერიოდში მოსახლეობას პრობლემები შეექმნება როგორც საკუთარი, ასევე პირუტყვის საკვებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ შევძლებთ სარეზერვო ფონდებიდან ძირითადი პროდუქტების (ზეთი; პურის ფქვილი; შაქარი) შექმნას და მოსახლეობისათვის გადაცემას.

### მელიორაცია

✓ 2012–2014 წლებში იმერეთის რეგიონის სამელიორაციო პროექტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 9 996 900 ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხის 83,5%-ს (8 349 800 ლარს) შეადგენს 2014 წლის სამელიორაციო პროექტების ღირებულება, ასევე აღსანიშნავია, რომ თუ 2012 წელს აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა იმერეთის მხოლოდ სამ მუნიციპალიტეტში, 2014 წელს სამელიორაციო კომპანია სამუშაოებს იმერეთის ცხრა მუნიციპალიტეტში ახორციელებს.

✓ წელს წყალუზრუნველყოფილი იქნა 8 500 ჰა-მდე მიწის ფართობი

#### მიმდინარე პროექტები

✓ 2014 წლის იმერეთის სამელიორაციო პროექტების დაფინანსების 36% (2 971 ათასი ლარი) მოდის საჩხერის მუნიციპალიტეტზე, სადაც დასრულების ფაზაშია ხოდაბუნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2 894 ათას ლარს (შემსრულებელი შპს „კალასი“). ასევე მსხვილი სამელიორაციო პროექტი მიმდინარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სადაც სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების შედეგად გასარწყავდება 2 500 ჰა ფართობი. მუნიციპალიტეტის სამელიორაციო პროექტების ჯამური დაფინანსება 2014 წელს შეადგენს 1 805 ათას ლარს.

✓ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აჯამეთის სარწყავი სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტი. სისტემა ემსახურება 2 829 ჰექტარს, მათ შორის 1 556 ჰექტარს ზესტაფონში, 793 ჰექტარს თერჯოლაში და 480 ჰექტარს ბაღდათის მუნიციპალიტეტში. სამუშაოებს ასრულებს შპს „აკორდი“, პროექტის ღირებულება შეადგენს 6 199 ათას ლარს. სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2016 წლისათვის.

✓ დასრულდა ვარციხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 418 451 ლარს, შემსრულებელი – შპს "ინჟინერი 96".

#### პრობლემატიკა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში პირველი ეტაპის სამუშაოების შედეგად რეაბილიტაციას ექვემდებარება სარწყავი სისტემის მხოლოდ 17.8 %. სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელება.

✓ ეწერის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი მზად არის (სისტემა ემსახურება 471 ჰექტარს), გადასაწყვეტია პროექტის დაფინანსების საკითხი. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების მიახლოებითი ღირებულება შეადგენს 100 ათას ლარს.

✓ ხონის მუნიციპალიტეტში კორექტირებას საჭიროებს ივანდიდი–გავაზურის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რადგანაც წყალაღების კვანძის ადგილმდებარეობა და არხის ტრასა გადის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. სისტემა ემსახურება 300 ჰექტარს. პროექტის განხორციელება 2015 წლის გეგმაში არ არის გათვალისწინებული.

✓ ხონი–სამტრედიის მაგისტრალური არხი ძლიერ დაზიანებულია. არსებული დაზიანების მოპირკეთებისათვის გადაუდებლად ესაჭიროება არმატურის ბადის მოწყობა და ტორკრეტირება.

✓ ხონის მუნიციპალიტეტის მაგისტრალური არხის ბოლო მონაკვეთთან მდ.ცხენისწყალი უკვე რეცხავს არხის გასწვრივ მდებარე საექსპლოატაციო გზას და წყალდიდობის დროს მოსალოდნელია არხის ბოლო 500 მეტრიანი მონაკვეთის მთლიანად მოშლა–დანგრევა. საჭიროა ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელება მდინარე ცხენისწყალზე.

✓ „ოკაცესა“ და „მარტვილის“ კანონების ხონის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი გზის გასწვრივ ორივე მხარეს გაედინება არხი. აუცილებელია მოწესრიგდეს არხებზე განთავსებული წყალსარეგულაციო კვანძები და მილხიდები.

✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტში აუცილებელია მდინარე ნასერალას კალაპოტის გაწმენდა, რაც ვანისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ერთდროულად უნდა განხორციელდეს. გასაწმენდი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 7 კმ, სამუშაოების ღირებულება მიახლოებით – 40 000 ლარია.

### **ინფრასტრუქტურული პროექტები იმერეთში**

2014 წელს იმერეთში რეგიონული განვითარების ფონდის, სოფლის მხარდამჭერი პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობამ შეადგინა 2066 ჯამური თანხით 53 545 314 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ერთობლივი ძალისხმევითა და სწორი დაგეგმარების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა დაგეგმილი პროექტების 100% წარდგენა სამთავრობო კომისიაზე და მათი დამტკიცება.

2014 წლის ინფრასტრუქტურული ხარჯების დინამიკა:

- ✓ რგფ–დან დაფინანსებული პროექტების ჯამმა შეადგინა 38 705 031 ლარი
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 8,549,264.00 ლარი
- ✓ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 6 291 019 ლარი

მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შესარულებელი სამუშაოების 81%, საერთო ღირებულებით 43 371 704 ლარი.

სულ ინფრასტრუქტურაზე იმერეთში დაიხარჯა 250,763,146.00 ლარი

წყარო	თანხა
რფგ	38,705,031.00
ადგილობრივი ბიუჯეტი	6,291,019.00
სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	8,549,264.00
მგფ	65,342,469.00
საგზაო დეპარტამენტი	62,669,000.00
მყარი ნარჩენების კომპანია	4,057,600.00
მელიორაცია	8,349,800.00
წყლის კომპანია	56,798,963.00
სულ	250,763,146.00

#### რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

2014 წელს რფგ-ის მიერ იმერეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა 38 705 031 ლარის 141 ერთეული ინფრასტრუქტურული პროექტი.

დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა 11 522 619 ლარი მიიღო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 16 პროექტი. ქუთაისის მიერ მიღებული დაფინანსება შეადგენს იმერეთის რეგიონში რფგ-ის ხარჯების 32%-ს. დაფინანსების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოდის ხონის მუნიციპალიტეტზე – 1 039 756 ლარი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტმა დააფინანსა 4 პროექტი. რფგ-ის ხარჯებში ხონის მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს მხოლოდ 3%.

#### ადგილობრივი ბიუჯეტი

2014 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დააფინანსეს 165 ინფრასტრუქტურული პროექტი ღირებულებით 6 291 018 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების კუთხით ლიდერობს ვანის მუნიციპალიტეტი – 1 525 346 ლარი, ხოლო დაფინანსების ყველაზე დაბალი დონე აჩვენა ბაღდათის მუნიციპალიტეტმა – 38 647 ლარი. სამწუხაროდ, ტყიბულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით ვერც ერთი პროექტის დაფინანსება ვერ მოხერხდა.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2014 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსდა 1 761 პროექტი, ღირებულებით 8,549,264.00 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტი პროექტი განახორციელა თერჯოლის მუნიციპალიტეტმა (289 პროექტი), ხოლო ყველაზე დიდი დაფინანსება მიიღო ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა 1 072 900 ლარი.

მიმდინარე წელს ჩვენი რეკომენდაციით მნიშვნელოვნად შემცირდა გზების მოხრეშვის პროექტები 50%-დან 30%-მდე, რომელიც ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია. სოფლებში განისაზღვრა პრიორიტეტები და დაიწყო გზის რთული მონაკვეთების ბეტონის საფარით მოწყობა, რაც პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

## მუნიციპალური განვითარების ფონდი

2014 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 35 პროექტი, ჯამური ღირებულებით 65 342 469 ლარი. აღნიშნული პროექტების განაწილებას მუნიციპალიტეტების მიხედვით:

- ✓ წყალტუბო – 42 990 274 ლარი;
- ✓ ქუთაისი – 13 964 578 ლარი;
- ✓ ჭიათრა – 2 531 130 ლარი;
- ✓ ხარაგაული – 1 771 222 ლარი;
- ✓ ტყიბული – 1 446 694 ლარი;
- ✓ ვანი – 711 232 ლარი;
- ✓ ბაღდათი – 664 493 ლარი;
- ✓ საჩხერე – 488 690 ლარი;
- ✓ ხონი – 399 764 ლარი;
- ✓ ზესტაფონი – 334 392 ლარი;

დასრულებულია 19 პროექტი ღირებულებით 20 635 625 ლარი, მათ შორის :

- ✓ წყალმომარაგება 10 123 496 ლარი;
- ✓ გზები 2 509 563 ლარი;
- ✓ კანალიზაცია 3 617 212 ლარი;
- ✓ ხიდი 488 690 ლარი;
- ✓ სხვადასხვა 3 895 661 ლარი;

მიმდინარეობს 16 პროექტი ღირებულებით 44 706 844 ლარი, მათ შორის:

- ✓ გზები 14 096 643 ლარი;
- ✓ ენერგომომარაგება 2 727 2016 ლარი;
- ✓ კულტურის ობიექტები 1 820 506 ლარი;
- ✓ სახლების რეაბილიტაცია 6 404 514 ლარი;
- ✓ სხვადასხვა 19 658 002 ლარი. (წყალტუბოს ტერიტორიის გამწვანება, კეთილმოწყობა; წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისი და სხვა ინფრასტრუქტურა).

## საგზაო დეპარტამენტი

2014 წელს საგზაო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულებამ იმერეთში შეადგინა 62 669 000 ლარი. მათ შორის: 40 423 500 ლარი დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 22 275 500 ლარი მსოფლიო ბანკის მიერ. დაფინანსებული პროექტებიდან საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მშენებლობაზე დაიხარჯა 10 567 000 ლარი, ხოლო 52 132 000 საქალაქთაშორისო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. მათ შორის აღსანიშნავია:

- ✓ ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის ს/გზის კმ2-კმ4 (0.6) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (2.6კმ 1ხიდი)
- ✓ გომი-საჩხერე-ჭიათურა ს/გზის კმ 46-53 მონაკვეთის რეაბილიტაცია (6.9 კმ)
- ✓ რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაცხე-კიცხი ს/გზის კმ1+000-კმ 18+660 მონაკვეთის რეაბილიტაცია (17.66 კმ 1 ხიდი)
- ✓ ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის მე-20 კმ-ზე მდ. ხანისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ✓ ზესტაფონი-ბაღდათის ს/გზის კმ6-კმ10 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები (5კმ)
- ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის ს/გზის კმ6.5-კმ11.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (5.6კმ)
- ✓ ჭიათურა-პერევისა-სვერი-თვალუეთი-გეზრული ს/გზის კმ8 - კმ22 მონაკვეთის რეაბილიტაცია(15კმ)
- ✓ ქვედა საქარა-საზანო ს/გზის კმ1-კმ14 კმ (13.4კმ 1 ხიდი)
- ✓ შუქრუთი(ჭიათურა)-უსახელო-კორბოული კმ6-კმ24 მონაკვეთის რეაბილიტაცია (19.0 კმ 5 ხიდი)
- ✓ შ/მ ქუთაისი-საფიჩხია-ჭოგნარის ს/გზის კმ 1- კმ 4.7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (4.7კმ)

## სტიქია

2014 წლის სტიქიის ფონდმა იმერეთში შეადგინა 5 351 386 ლარი. საჩხერის მუნიციპალიტეტში სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებაა 1 167 207 ლარი, რომლის ფარგლებშიც შესრულდება გზის მოხრეშვა-მოასფალტება, გაბიონების მოწყობა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1 600 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან დაფინანსდება სოფელ ტოლებში მდ. ხევისწყალზე ხიდის მშენებლობა.

ტყიბულის რაიონში სტიქიის ფონდის 508 500 ლარის ფარგლებში შესრულდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა) და ამხანაგებობისათვის სხვადასხვა მასალების გადაცემა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების თანხის 680 000 ლარი ნაწილი დაიხარჯა მდ. საკრაულაზე ხიდის ბურჯის შეცვლის სამუშაოებზე, ხოლო დარჩენილი რესურსებით განხორციელდა ბოგირების შეკეთება.

ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიაზე გამოყოფილ იქნა 1 294 856 ლარი, რაც მოხმარდება წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ხიდების, გზებისა და მდინარის ნაპირების აღდგენას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 100 823 ლარი.

**მყარი ნარჩენების მართვა**

- ✓ ქუთაისის ნაგავსაყრელის საექსპლოატაციო, ნაპირსამაგრი და კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის 2 828 ათასი ლარი;
- ✓ თერჯოლის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა-ექსპლოატაციისთვის 424 ათასი ლარი. მოემსახურება ასევე ზესტაფონსა და ხარაგაულს;
- ✓ სამტრედიის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა-ექსპლოატაციისათვის 523 ათასი ლარი. მოემსახურება ხონისა და ვანის მუნიციპალიტეტებსაც;
- ✓ საჩხერის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა-ექსპლოატაციისათვის 245 ათასი ლარი;
- ✓ ტყიბულის ნაგავსაყრელის ექსპლოატაცია 25 440 ლარი;
- ✓ ზესტაფონის ნაგავსაყრელის ექსპლოატაცია-შეჩერება 12 160 ლარი.

სულ იმერეთის რეგიონში შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას" ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა ექსპლუატაცია-ოპერირებისათვის დახარჯა 4'057'600 ლარი

**წყალმომარაგება**

2013-2014 წლებში რეგიონში დასრულდა 11 პროექტი, რაზეც დაიხარჯა 16,993,095 ლარი. მიმდინარეობს 6 პროექტი საერთო ღირებულებით 39,805,867.68 ლარი.

2013-2014 წლებში დასრულებული პროექტები	
ქ. ბაღდათის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია	674,687.00
ქ. ზესტაფონის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია	334,393.00
ქ. წყალტუბოს სასმელი წყლის შიდა ქსელები	6,268,298.00
ქ. ჭიათურაში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია	408,796.00
ქ. ტყიბულის წყალმომარაგების სათავეების (მუხურა-2, თეთრიღელე - 2 - სვანეთის ქუჩა) სარეაბილიტაციო სამუშაოები	173,625.00



ქ. ბაღდათში რუსთაველის, დადიანის და წმ. მარიამის ქუჩებზე არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია	146,775.00
ფარცხანაყანევის სათავეზე წყალშემკრები სალექრების რეაბილიტაცია	130,911.00
ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	1,765,708.00
წყალტუბოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	5,323,674.00
ტყიბულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	1,449,490.00
ქუთაისის რიონჰესის დასახლების წყალმომარაგება	316,738.00
<b>სულ</b>	<b>16,993,095.00</b>

მიმდინარე პროექტები		
ქუთაისი	16/09/13-16/03/16	21,773,431.00
თერჯოლა	2015 წლის ივლისამდე	1,662,532.00
ზესტაფონი	2016 წლის თებერვლამდე	3,666,445.00
ტყიბული	22თვე (სამუშაოების დაწყებიდან)	4,000,000.00
ბაღდათი	6 თვე (სამუშაოების დაწყებიდან)	1,015,444.00
ჭიათურა	18 თვე (სამუშაოების დაწყებიდან)	7,688,016.00
	<b>სულ</b>	<b>39,805,867.00</b>

### საბიუჯეტო მონაცემები

იმერეთის რეგიონი აერთიანებს 12 მუნიციპალიტეტს. 2014 წლის 10 თვეში რეგიონის საბიუჯეტო შემოსულობებმა 139,7 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 31.3% ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებზე მოდის. მაღალი საბიუჯეტო შემოსულობებით გამოირჩევა ჭიათურის (11.1 მლნ. ლარი), წყალტუბოს (11.7მლნ. ლარი), ზესტაფონის (11.0 მლნ. ლარი) და სამტრედიის მუნიციპალიტეტები (10.2 მლნ ლარი).

რეგიონში მობილიზებული შემოსულობების 79.2% ტრანსფერებზე მოდის. სულ ტრანსფერებმა 110.7 მლნ. ლარი შეადგინა, რომელიც ძირითადად (66.3%) არის გამოთანაბრებითი ტრანსფერი.

ტრანსფერების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები. თუ ქუთაისისთვის იგი 73.4%-ია, საშუალო მაჩვენებელი მუნიციპალიტეტებისათვის 81.8% შეადგენს (ქუთაისის გარეშე შემოსულობები 96.0 მლნ. ლარი, ტრანსფერები 78.6 მლნ. ლარი).

2014 წლის 10 თვეში არსებითად არ შეცვლილა რეგიონის შემოსულობების სტრუქტურა.

## **რეგიონის საბიუჯეტო შემოსულობების სტრუქტურა**

როგორც აღინიშნა, შემოსულობებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით (79,2%) გამოირჩევა ტრანსფერები. საგადასახადო შემოსავლები (ამ შემთხვევაში რეგიონის ტერიტორიაზე მობილიზებული და ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტებში ადგილობრივი გადასახადებიდან შემოსული სახსრები) 10,9 მლნ. ლარია (შემოსულობების მხოლოდ 7,8%).

არასაგადასახადო შემოსულობებზე მოდის მთელი შემოსულობების 12,2% (ამ სახით მობილიზებულია 17,0 მლნ. ლარი). არაფინანსური აქტივების კლებამ მთლიანად რეგიონში 2,9 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 68,3% ქუთაისზე მოდის.

2014 წლის 10 თვეში რეგიონის ბიუჯეტში სულ 139,7 მლნ. ლარია მობილიზებული. ეს შეადგენს მიმდინარე მდგომარეობით დამტკიცებული რეგიონის ჯამური გეგმიური ბიუჯეტის 74,9%. გამოდის, რომ დარჩენილ 2 თვეში უნდა მოხდეს 25,1%-ის მობილიზება, რაც არ იქნება რთულად შესასრულებელი ამოცანა (გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვანი შემოსულობების მობილიზება წლის ბოლო თვეში ხდება).

წლიურ ბიუჯეტთან მიმართებაში დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება ბაღდათის (შესრულებულია წლიური ბიუჯეტის 69,1%), ქუთაისის (67,9%) და საჩხერის (70,1) მუნიციპალიტეტებში. მაღალი მაჩვენებლებია ზესტაფონის (88,0%), ჭიათურის (84,7%), და ხარაგაული (85,5%) მუნიციპალიტეტებში, სადაც სავარაუდოდ საბიუჯეტო პარამეტრების ზრდის მიმართულებით საჭირო იქნება კორექტირება.

## **წლიური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები**

რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების დინამიკა მზარდია, რაც ძირითადად განპირობებულია შემოსავლებში გრანტების მუხლის ზრდით (მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები წარმოადგენს, რაც მთლიანი შემოსავლების 70–80%-ს შეადგენს).

ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა წარმოადგენს გვაძლევს, თუ რა იხარჯება ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტიდან (მასში ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხული თანხებიც). 2011–2014 წლებში იმერეთის თვითმმართველ ერთეულთა ჯამური ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. 2011 წელთან შედარებით ფაქტიური გადასახდელების მაჩვენებელი 26,9 მლნ. ლარით გაიზარდა (ზრდის ტემპი 123,7%).

## **იმერეთის ნაერთ ბიუჯეტში გადასახდელების დინამიკა**

ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის მსგავს დინამიკას გვაძლევს რეგიონის ყველა დონის ბიუჯეტიდან თუ რამდენი იხარჯება რეგიონის ერთ სულ მოსახლეზე და მისი გამოყენება გარკვეულწილად, სოციალურ–ეკონომიკური დონის შესაფასებლად შეიძლება. თუ გასულ წელს რეგიონის ერთ მოსახლეზე წელიწადში 217 ლარი იხარჯებოდა, წელს იგი 277 ლარს შეადგენს.

2015 წლის ბიუჯეტის გეგმიური პარამეტრი 124,6 მლნ. ლარს შეადგენს, რაც 62,0 მლნ. ლარით ნაკლებია 2014 წლის გეგმურ პარამეტრზე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ 2015

წლის ბიუჯეტი მოიმატებს რეგიონული განვითარების ფონდიდან გადმორიცხული თანხებით, რომლითაც რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

## თემატური საკითხები

### I. ქ. ზესტაფონში სილიკომანგანუმის უკანონო მოპოვება

ქ. ზესტაფონში ჭანტურიას ქუჩაზე, მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს ახლა უკვე ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი, რომლის დემონტაჟის შემდეგ რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული კერძო საკუთრებაში არსებული ობიექტების მეპატრონეებს აღარ ჰქონდათ იმ რაოდენობის შემოსავალი, მათ მიაგნეს გამოსავალს და ნება დართეს სილიკომანგანუმის უკანონო მოპოვებლებს ნარჩენები მოეპოვებიათ აღნიშნულ ტერიტორიის ქვეშ ნიადაგში 6-7 მეტრი სიღრმიდან. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტერიტორიიდან სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ამოღება მიმდინარეობდა ფარულად, უშუალოდ ამ მაღაზიების მომიჯნავედ. აღმოჩნდა რომ უკანონო მოპოვებლებმა მაღაზიებიდან გაყვანილი ე.წ. „მალაროების“ საშუალებით მთლიანად გამოაცალეს საფუძველი რუსთაველის ქუჩის დიდ ნაწილს. ვინაიდან ეს ობიექტები გარედან დაკეტილ მდგომარეობაში იყო, შესაბამის მკონტროლებელ სამსახურებს არ შეეძლოთ რეალურად შეეფასებიათ მიმდინარე პროცესები.

2014 წლის 10 ოქტომბერს მსხვერპლით დასრულდა სამაშველო ღონისძიება. ქ. ზესტაფონში ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ჩაინგრა მაღაზია და ქვეშ მოიყოლა 7 მეტრის სიღრმეზე ჩასული ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

2014 წლის მარტში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის გაგზავნილი იქნა შესაბამისი წერილი, რომლითაც ეცნობა სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების უკანონო მოპოვების ფაქტების გახშირების შესახებ. ამ უწყებამ შესაბამისი წერილით მიმართა სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს და დაიწყო კვლევის ჩატარება ზესტაფონში არსებული სიტუაციის შესაფასებლად. პარალელურად, რეგულარულად ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის უკანონო მოპოვებლების დაჯარიმება, მაგრამ, სამწუხაროდ, პრევენციულმა ღონისძიებებმა თავიდან ვერ აგვაცილა ის უბედური შემთხვევა.

**სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე** ირკვევა, რომ რუსთაველის ქუჩაზე ვითარება საგანგაშოა. ექსპერტის განმარტებით ნიადაგის კვლევა აღემატება მის კომპეტენციას და საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება. ასევე დასკვნაში მიუთითებს, რომ **რუსთაველის ქუჩაზე არსებული შენობები საფრთხის შემცველია და ექვემდებარება დემონტაჟს.** შესაბამისად, სამხარაულის დასკვნის საფუძველზე 2014 წლის 15 ოქტომბერს თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები სამუშაო რეჟიმში შეხვდნენ რუსთაველის ქუჩაზე არსებული ობიექტების კერძო მესაკუთრეებს. განსაკუთრებულად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მაღაზიების მესაკუთრეები, სავარაუდოდ, დათანხმდებიან შენობების დემონტაჟს, განაცდურის ანაზღაურებისა და მათი კუთვნილი ფართის აღდგენის შემთხვევაში. რაც შეეხება მოპირდაპირე (წყალსადენის) მხარეს განთავსებულ ობიექტთა მეპატრონეებს, ისინი უარს აცხადებენ ობიექტების დემონტაჟზე და ქუჩის გადაკეტვისა და სამუშაოების წარმოების შემთხვევაში განაცდურის ანაზღაურებას ითხოვენ.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე, საჭიროდ მიგვაჩნია ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე სასწრაფოდ აიკრძალოს მძიმეწონიანი ტრანსპორტის მოძრაობა. გამომდინარე იქედან,

რომ ამ ეტაპზე ძნელად განსასაზღვრია ქუჩის ქვეშ არსებული მალაროების სიგრძე, რაოდენობა და მოცულობა, ვვარაუდობთ, რომ საჭირო გახდება რუსთაველის ქუჩის მთლიანი დემონტაჟი, რათა თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები. ვინაიდან ზესტაფონში არსებული ვითარება არა მარტო საგანგაშო, არამედ არასტანდარტულიცაა.

## II. თიზი და ქუთაისში განსახორციელებელი ინვესტიცია

საქართველოს მთავრობისა და მთავრობის ეკონომიკური საბჭოს მიერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული ქ. ქუთაისში "ჰუალინგის" თავისუფალი ინდუსტრიული ზონის რეგისტრაციის თაობაზე.

**ჩინური კომპანია "ჰუალინგი"**, რომელსაც ქ. ქუთაისში ავტოქარხნის ტერიტორიაზე აქვს შეძენილი აქვს 62,61 ჰა ტერიტორია და აქედან 35,92 ჰა-ზე უნდა განთავსდეს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ინდუსტრიული ზონისათვის ინვესტიციების სახით გაღებულ იქნა 31 170 000 აშშ დოლარი. ძირითადად დასრულებულია ინდუსტრიული ზონის მთლიანი დაგეგმარების სამუშაოები. ზონაში მოეწყო ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტები, ტერიტორიაზე დასრულდა რამოდენიმე ქარხნის მშენებლობა, ინვესტორების მოზიდვისათვის საჭირო პირველადი სამუშაოებიც განხორციელდა.

ვითვალისწინებთ, რა იმ ფაქტს, რომ კომპანიამ უნდა მიიღოს დიდი ოდენობით სიკეთე, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მას აქვს ათვისებული **პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია 62,61 ჰა**, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობის მიერ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ჩადებული იქნას ქ. ქუთაისის ინფრასტრუქტურული და სოციალური განვითარებისათვის **3 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება**.

ქ. ქუთაისის მერიასთან კონსულტაციების შედეგად, ჩვენს მიერ განხილულ იქნა არაერთი საკითხი თუ რა ტიპის ინვესტიცია შეიძლება განხორციელებულიყო და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – **მრავალპროფილიანი სპორტის სასახლის მშენებლობა**.

ქუთაისის მოსახლემა შეადგენს 180000 ათას ადამიანს, სადაც არ არსებობს მრავალპროფილიანი სპორტის სასახლე, სადაც თავმოყრილი იქნება როგორც დახურული სივრცის სათამაშო სახეობათა მოედნები, ასევე აუზი, მაშინ, როდესაც ქალაქში სპორტის ყველა სახეობის დაფინანსება ხდება ქალაქის ბიუჯეტიდან, აუზის და შესაბამისი დარბაზის არქონის გამო ვერ ხერხდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი პოტენციალის მთლიანად ათვისება. მრავალფუნქციონალური სპორტის სასახლის და აუზის აშენებით მოხდება ახალგაზრდების უფრო მეტად ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში და მიეცემათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის შესაძლებლობა.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროდან ქ. მერიაში** მოსულია სამი მომართვა 1 ჰა, 1,5 ჰა და 2,5 ჰა ფართობი მიწის შერჩევის შესახებ, თუმცა კონკრეტულად საკითხები არ არის დაძრული. შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული სამინისტროს მიერ და შესაბამისი თანხა არ იქნა გამოყოფილი. შესაძლებელია, **მრავალპროფილიანი სპორტის სასახლის მშენებლობაში** ინვესტირება 3 მილიონი ლარის ოდენობით ვთხოვოთ **კომპანია "ჰუალინგს"**, იმ პირობით, რომ სასახლე მას ექნება საკუთრებაში, ხოლო ქ. ქუთაისის სპორტულ გუნდებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ კომპლექსით, სარგებლობისათვის ქ. ქუთაისი მერია გადაიხდის შესაბამისი თანხას. ამასთან, კომპლექსით სარგებლობის საშუალება ექნება მოქალაქეებსაც.

მოცემული წინადადება მისაღები უნდა იყოს ჩინური კომპანიისათვის, ვინაიდან, ერთის მხრივ, სოციალიზაციის კუთხით მათ საშუალება ექნებათ მეტად ინტეგრირებული გახდნენ ქუთაისის საზოგადოებასთან, მეორეს მხრივ, კი მიიღონ ცალკე შემოსავალი კომპლექსის გაიჯარებით თუ მომსახურების გაყიდვით.

### III. ქ. ქუთაისისათვის ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდა

ქალაქის ურბანული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის არ არსებობის გამო, ძალზედ რთულია ქუთაისის გეგმიური განვითარების დაგეგმარება. შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის გადაწყვეტილებამ, მნიშვნელოვნად განაპირობა ქალაქის ურბანული განვითარების მიმართულების შერჩევის აუცილებლობა, კერძოდ, კი ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩიდან შემოვლითი გზის შერწყმამდე, საავტომობილო გზის ორივე მხარეს, წყალტუბოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების მიწების ფართობით (1800კვ.კმ), სასოფლო და არასასოფლო ტერიტორიების ქუთაისის საზღვრებში შემოერთების საკითხის დასმის აქტუალურობა. პირველ რიგში შემოვლითი გზის საზღვრებთან ქუთაისის ადმინისტრაციული საზღვრების მიახლოება, უზრუნველყოფს ქალაქის შესაბამისი საზღვრების ეკონომიკურ და სივრცით-მოწყობით განვითარებას.

დღის წესრიგში აქტუალურია 2 ძირითადი საკითხი:

- ✓ ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავება - რაც საფუძველი უნდა გახდეს ქალაქის იერსახისა და ზოგადად ქალაქის ტერიტორიული, სტრუქტურული, დარგობრივი განვითარების
  - ✓ ქალქ ქუთაისის მასშტაბური რეაბილიტაციის სტრატეგია – ქალაქი უნდა განვითარდეს ტრადიციული (უძველესი ქალაქი, ისტორიული ღირშესანიშნაობებით, განათლების კერა, სპორტის და კულტურის სამჭედლო და ა.შ) და პერსექტიული (ტურიზმის ჰაბი, საწარმოო ინვესტიციების ბაზა და ა.შ) ფუნქციების მინიჭებით.
- აქედან გამომდინარე, აუცილებელია მასშტაბური და გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის განხორციელება, რომელშიც ლომის წილი სახელმწიფო მხარდაჭერის ფონზე უნდა განხორციელდეს. მათ შორის:
- ✓ ქალაქის გამწვანება - ქალაქის გარეუბნების განაშენიანება ხე-მცენარეებით, არსებული სკვერებისა და ბაღების რეაბილიტაცია და ქალაქის მუდმივი „სანერგე მეურნეობის შექმნა“
  - ✓ ტურიზმის ინფრასტრუქტურის შექმნა - ტურისტული ცენტრის შექმნა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
  - ✓ ქალაქის ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაცია – ფალიაშვილის, თამარ მეფის, წმ.ნინოს და ცისფერყანწელთა ქუჩების სრული არქიტექტურული და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია
  - ✓ ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია – ქალაქის ახალი შემოსასვლელის სრული რეაბილიტაცია
  - ✓ საბაგიროების სისტემის მშენებლობა - პირველი მონაკვეთი: გორა-უქიმერიონის მთა (ბაგრატის ტაძარი), მეორე მონაკვეთი: მოწამეთა- გელათი
  - ✓ ქალაქის უზრუნველყოფა სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსებით - ქალაქს ესაჭიროება მინიმუმ ერთი, 6000 კაცზე გათვლილი სპორტის სასახლე და საცურაო აუზის კომპლექსი საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად
  - ✓ კანალიზაცია და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა – მოსახლეობის 47 %-ს საერთოდ არ გააჩნიათ კანალიზაცია, ხოლო 16% შესაკეთებელია, რაც იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებებს, მოსახლეობის ჰიგიენური მდგომარეობის გაუარესებას, ფეკალიები ჩაედინება მდინარე რიონში, რაც ასევე იწვევს ეკოლოგიური პრობლემებს